პროგრამის განმახორციელებელი

1. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

1. სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა 75 სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა 1029 მონაწილე (663 - ქალი, 366 - კაცი). მათ შორის იყო 866 უნიკალური მონაწილე (551 ქალი, 313 კაცი);
2. ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის ვაკანტურ პოზიციაზე და შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში ტესტირება ჩაუტარდა 1203 კანდიდატს (28 ტესტირება); ტესტირების ადმინისტრირება ასევე ჩატარდა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის 35 კანდიდატისთვის (1 - ტესტირება);
3. საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის, კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა 244 სამუშაო შეხვედრა, საჯარო ლექცია, სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა ჯამში 3 214 მონაწილე (2 571 - ქალი, 643 - კაცი);
4. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო საწარმოების ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით გადამზადებულია შესაბამისი სექტორის 1 659 მონაწილე (1 153 ქალი, 506 კაცი)
5. შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების მიზნით დაწყებული რეფორმის ფარგლებში გადამზადებულია 18 მონაწილე. (5 ქალი, 13 კაცი)
6. საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფარგლებში, IMF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს ფისკალირი რისკების მართვის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული პირებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე : "სახელმწიფო საწარმოების ინტეგრაცია სახელმწიფო ფინანსურ სტატისტიკაში". მონაწილეების რაოდენობა 16 (14 ქალი, 2 კაცი); ასევე ყაზახეთის სხვადასხვა ბანკების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „Colvir-ის სისტემის გაცნობა ექსპერტებისთვის“, რომელშიც ჩართული იყო 10 მონაწილე (2 ქალი, 8 კაცი);
7. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხარდაჭერით ბუტანის სამთავრობო დელეგაციის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრებია სერია , რომლის მიზანიც იყო დელეგაციის წარმომადგენლებისთვის საბიუჯეტო სისტემისა და ფინანსური პოლიტიკის საკითხების გაცნობა და საქართველოს გამოცდილების გაზიარება მონაწილეების რაოდენობა 10 (4 ქალი, 6 კაცი).
8. საქართველოს ფინანსთა და ჰოლანდიის სამეფოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტთან

ერთად ჩატარდა სამუშაო შეხვედრა: "ტრენერების განვითარებისა და თანამშრომლობის გაიდლაინი", რომლის მიზანია ფინანსთა სამინისტროს აკადემიისთვის შეიქმნას ტრენერთა განვითარებისა და თანამშრომლობის სახელმძღვანელო/დოკუმენტი. შეხვედრას ესწრებოდა 8 მონაწილე (5 ქალი , 3 კაცი).

9. ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა სამუშაო შეხვედრა - "სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის საკითხები" ბანგლადეშის სამთავრობო დელეგაციითვის, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის, ხაზინის საოპერაციო საქმიანობის, ფულადი სახსრების მართვის, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური-აღრიცხვა ანგარიშგების წარმოების, ასევე ფინანსთა სამინისტროს დეპარტამეტების მიერ საბიუჯეტო სისტემის და ფინანსური პოლიტიკის საკითხების გაცნობა და საქართველოს გამოცდილების გაზიარება. შეხვედრას ესწრებოდა 10 მონაწილე (2 ქალი, 8 კაცი).
10. მსოფლიო ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა : AI/Cash Management and Data Analytics Readiness Assessment (DARA).შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროს დეპარტამეტების მიერ საბიუჯეტო სისტემის და ფინანსური პოლიტიკის საკითხების გაცნობა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მიერ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. შეხვედრას ესწრებოდა 20 მონაწილე (8 კაცი და 12 ქალი).
11. აზიის განვითარების ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო – პროექტების განხორციელების ერთეულის, ეროვნული ბანკისა და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - "შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული ინტეგრირების საკითხებზე ADB-ის ოპერაციებში", რომლის მიზანი იყო მთავრობის პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად ინტეგრირება პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. ასევე, ვორქშოფი დაეხმარა მათ გაიცნობოდნენ, თუ როგორ გამოიყენება გენდერული ინტეგრირების მიდგომა აზიის განვითარების ბანკის (ADB) ოპერაციებში.სამუშაო შეხვედრას დაესწრო 25 მონაწილე (22 ქალი, 3 კაცი).
12. სოციალურად პასუხისმგებლიანი პროექტების განხორციელება, მათ შორის სტუდენტური პროექტის ფარგლებში გადამზადდა 80 მონაწილე (65 ქალი, 15 კაცი).

<u>დასახული საბოლოო შედეგები:</u>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, საჯარო და კერძო სექტორში საფინანსო და მომიჯნავე მიმართულებებით დასაქმებულთა და ასევე, ფიზიკური პირების კვალიფიკაცია ამაღლებულია.

<u>მიღწეული საბოლოო შედეგი:</u>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, საჯარო და კერძო სექტორში საფინანსო და მომიჯნავე მიმართულებებით დასაქმებულთა და ასევე, ფიზიკური პირების კვალიფიკაცია ამაღლებულია.

<u>მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:</u>

1. **ინდიკატორის დასახელება** - სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ განხორციელებულ პროექტებში (რეფორმისა და ტესტირების გარდა) მონაწილეთა რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ განხორციელებულ პროექტებში გათვალისწინებულია 5120 პირის მონაწილეობა (მ.შ. 1087 კაცი და 4033 ქალი)

მიზნობრივი მაჩვენებელი - 5250 მონაწილე (მ.შ. 1119 კაცი და 4131 ქალი)

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 345 მონაწილე

შესაძლო რისკები - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება;

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შემდგომ დამატებითი საჭიროებების გამოვლენა;

სხვა ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული პროგრამები;

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროექტების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში აკადემიის მიერ განხორციელებულ პროექტებში (რეფორმისა და ტესტირების გარდა) მონაწილეობა მიიღო სულ 4422 მონაწილემ (მ.შ. 1066 კაცი და 3356 ქალი)

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის წარდგენის შემდგომ, ცვლადი გარემოდან გამომდინარე სამინისტროს სისტემაში გამოიკვეთა ალტერნატიული პრიორიტეტული საჭიროებები. შესაბამისად აკადემიისთვის გამოყოფილი რესურსები მიმართული იქნა აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილებაზე. ასევე 2025 წელს აკადემიის საქმიანობის ძირითადი აქცენტის ადგილობრივ ბაზარზე გადატანამ და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოში მიმდინარე

პროცესებისა და განსაკუთრებით აკადემიის საქმიანობის მიმართ ნაკლებმა ინტერესმა, განაპირობა საერთაშორისო მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების გარკვეული ნაწილის შეუსრულებლობა. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების შეფერხება გამოწვეული იქნა სტუდენტურ პროექტში მონაწილე პირების ნაკლები ჩართულობით დროითი რესურსის დეფიციტის გამო. ასევე ქალთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩასატარებელი სასწავლო კურსები/სამუშაო შეხვედრები - "როგორ დავიწყოთ ბიზნესი" ვერ განხორციელდა შესაბამისი დონორი ორგანიზაციის ვერ მოძიების გამო.

2. **ინდიკატორის დასახელება** - სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიცირებული კურსების მონაწილეთა მიერ აღებული სერტიფიკატების პროცენტული მაჩვენებელი.

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიცირებული სასწავლო კურსების მონაწილეთა 70%-მა მიიღო სერტიფიკატი
მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაწილეთა 70%-მა მიიღო სერტიფიკატი
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 5 %
შესაძლო რისკები - ტრენინგკურს ებზე მონაწილეთა დაბალი დასწრება/მოსწრება;
სასწავლო კურსების სასერტიფიკატო გამოცდაზე გამოუცხადებლობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიცირებული კურსების მონაწილეთა 72 %-მა მიიღო სერტიფიკატი.

3. **ინდიკატორის დასახელება** - სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი
საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი 90%-ია
მიზნობრივი მაჩვენებელი - 94%
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 1%
შესაძლო რისკები - ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა;
ტრენინგისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობა/გაუმართაობა;
ტრენერთა/ტრენერ-ექსპერტთა დაბალი ჩართულობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წელს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელია 96%.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

აკადემიაში დანერგილია როგორც ISO 9001:2015 მენეჯმენტის საერთაშორისო სტანტარდები, ასევე ISO 21001:2018 რომელიც უზრუნველყოფს სწავლების მიმართულებით პროცესების გამართვას საერთაშორისო სტანდარტებით. ეს უკანასკნელი სხვა პროცესების გამართვასთან ერთად, მათ შორის

მოიაზრებს აკადემიის სასწავლო პროცესში კმაყოფილების კვლევის ეფექტურ განხორციელებას და უკუკავშირზე მყისიერ რეაგირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიაში წარმართული სწავლების ადმინისტრირების პროცესი წარიმართა ეფექტურად, რამაც გამოიწვია მონაწილეთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამა - ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტესტირებების ადმინისტრირება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;

2. ახალი კადრების შერჩევის პროცესში ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია ტესტირების მომსახურებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** - ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების პროექტებში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა
საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების პროექტებში გათვალისწინებულია 1200 მონაწილე (მ.შ. 360 კაცი და 890 ქალი)
მიზნობრივი მაჩვენებელი - 1300 მონაწილე (მ.შ. 375 კაცი და 925 ქალი)
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 100 მონაწილე
შესაძლო რისკები - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება;
ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შემდგომ დამატებითი საჭიროებების გამოვლენა;
ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შეფერხება;
ტრენერების დაბალი ჩართულობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების პროექტებში გადამზადდა 1029 მონაწილე (მ.შ. 366 კაცი და 663 ქალი).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის წარდგენის შემდგომ, ცვლადი გარემოდან გამომდინარე სამინისტროს სისტემაში გამოიკვეთა ალტერნატიული პრიორიტეტული საჭიროებები. შესაბამისად აკადემიისთვის გამოყოფილი რესურსები მიმართული იქნა აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილებაზე.

2. **ინდიკატორის დასახელება** - ფინანსთა სამინისტროს სისტემის გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ფინანსთა სამინისტროს სისტემის 840 უნიკალური თანამშრომლის გადამზადება (მ.შ. 290 კაცი და 550 ქალი)

მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემის 870 უნიკალური თანამშრომლის გადამზადება (მ.შ. 300 კაცი და 570 ქალი)

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 60 თანამშრომელი

შესაძლო რისკები - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება;

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შემდგომ დამატებითი საჭიროებების გამოვლენა;

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შეფერხება;

ტრენერების დაბალი ჩართულობა.

ფაქტიური შედეგი – 2025 წლის განმავლობაში გადამზადდა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 866 უნიკალური თანამშრომელი (მ.შ. 315 კაცი და 551 ქალი).

3. **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული ტესტირებები

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს სისტემის მიერ მოთხოვნილი ტესტირებები სრულად შესრულებულია

მიზნობრივი მაჩვენებელი - მოთხოვნილი ტესტირებების სრულად შესრულება

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 5%

შესაძლო რისკები - შესაძლო ცვლილებები საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის პროცესში.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში მოთხოვნილი ტესტირებები სრულად შესრულებულია 100%.

ქვეპროგრამა - ფიზიკური პირების, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

1. ფიზიკური პირები, საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროექტებით;

2. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების დანერგვის მიზნით, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო პროგრამებით/ტრენინგებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** - გადამზადებული ფიზიკური პირების, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა
საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 3250 მონაწილის გადამზადება (მ.შ. 540 კაცი და 2710 ქალი)
მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებულია საბიუჯეტო და კერძო სექტორის 3310 წარმომადგენელი (მ.შ. 550 კაცი და 2760 ქალი)
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 200 წარმომადგენელი
შესაძლო რისკები - სხვა ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული პროგრამები; ინფორმირებულობის ნაკლებობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში გადამზადებულია საბიუჯეტო და კერძო სექტორის 3214 წარმომადგენელი (მ.შ. 643 კაცი და 2571 ქალი).

2. **ინდიკატორის დასახელება** - ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები
საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულად შესრულებულია
მიზნობრივი მაჩვენებელი - რეფორმების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულად შესრულებულია
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 5%
შესაძლო რისკები - ადამიანური რესურსის ნაკლებობა; რეფორმის შეფერხება; მონაწილეთა ჩართულობის ნაკლებობა.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულად შესრულებულია, კერძოდ, გადამზადდა 1677 მონაწილე (მ.შ 519 კაცი, 1158 ქალი).

ქვეპროგრამა - საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად პროექტების შემუშავება-განხორციელება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტები

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება -** განხორციელებულ პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 410 მონაწილე (მ.შ. 144 კაცი და 266 ქალი)

მიზნობრივი მაჩვენებელი - 420 მონაწილე (მ.შ. 148 კაცი და 272 ქალი)

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 30 მონაწილე

შესაძლო რისკები - საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტების ცვლილება.

ფაქტიური შედეგი – 2025 წლის განმავლობაში აკადემიის მიერ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებულ პროექტრებში მონაწილეობა მიიღო 99 მონაწილემ (მ.შ. 42 კაცი და 57 ქალი).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

2025 წლის აკადემიის საქმიანობის ძირითადი აქცენტი ადგილობრივ ბაზარზე იყო გადატანილი, რის გამოც საერთაშორისო მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების ნაწილი სრულყოფილად ვერ განხორციელდა. ამასთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და განსაკუთრებით აკადემიის საქმიანობის მიმართ ნაკლებმა ინტერესმა უარყოფითად იმოქმედა საერთაშორისო პარტნიორობებისა და ჩართულობის მაჩვენებლებზე.

ქვეპროგრამა - სოციალურად პასუხისმგებლიანი პროექტების განხორციელება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

სამიზნე ჯგუფი გადამზადებულია შესაბამისი მიმართულებით

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება -** სოციალურად პასუხისმგებლიან პროექტებში ჩართული მონაწილეების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში, სოციალურ პროექტებში გათვალისწინებულია 210 მონაწილე (მ.შ 43 - კაცი; 167 - ქალი)

მიზნობრივი მაჩვენებელი - 220 მონაწილე (მ.შ 46 - კაცი; 174 ქალი)

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 15 მონაწილე

შესაძლო რისკები - ინფორმირებულობის ნაკლებობა; დონორის პრიორიტეტის ცვლილება.

ფაქტიური შედეგი - 2025 წლის განმავლობაში სოციალურად პასუხისმგებლიან პროექტებში ჩართული იყო 80 მონაწილე (მ.შ 15 კაცი და 65 ქალი).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაგეგმილი ორი სტუდენტური ღია ლექციიდან ვერ განხორციელდა ერთი. აღნიშნული შეფერხება გამოწვეული იქნა სტუდენტურ პროექტში მონაწილე პირების ნაკლები ჩართულობით დროითი რესურსის დეფიციტის გამო. დამატებით დაგეგმილი საერთაშორისო ორგანიზაციის/დონორის მხარდაჭერით ქალების გაძლიერების მიზნით ჩასატარებელი სასწავლო კურსები/სამუშაო შეხვედრები - "როგორ დავიწყოთ ბიზნესი" ვერ განხორციელდა შესაბამისი დონორი ორგანიზაციის ვერ მოძიების გამო.